პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 ორშაბათი 16 ივნისი № 140 (16266) ფასი 2 კაპ. 1975

სრული ერთსულოვნებითა და დარაზმულობით

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა გუშინ ჩვენში საბჭოების არჩევნებმა. სოციალისტური დემოკრატიის ამ დიდ ზეიმს, ხალხის ერთსულოვნებას კიდევ უფრო ღრმა შინაარსი და მნიშვნელობა შეჰმატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიულმა სიტყვამ, რომელიც მან მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქვა. ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვას, მასში წამოყენებულ დებულებებს და მითითებებს დიდი გამოხმაურება, ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა მოჰყვა.

საარჩევნო კომისიებიდან მიღებული პირველი ცნობები ნათლად მეტყველებს, რომ საბჭოების გუშინდელ არჩევნებში დიდი გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევმა ბლოკმა. ხმის მიცემა საარჩევნო დებულების სრული შესაბამისობით და მისი ყველა მოთხოვნის დაცვით ხდებოდა.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, ჩვენი პარტია და ხალხი ასე შეკავშირებული და შედუღაბებული, როგორც გუშინდელ არჩევნებში, არასოდეს ყოფილა.

საქართველოს მშრომელებმა გუშინდელ არჩევნებში კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო სრული ერთსულოვნება და მტკიცე დარაზმულობა გამოავლინეს.

დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის საიმედო კომპასი იქნება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგების შეჯამებისა და პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების მთელ პერიოდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით“.

მოქმედების პროგრამა

პროპაგანდისტული და ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობა, რათა თვითეულ მშრომელს განუმარტოთ იმ დებულებებისა და დასკვნების არსი და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებსაც შეიცავს ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის სიტყვა.

რას ვფიქრობთ ამ მიზნით?

მთელი ძალით ავამოქმედოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთელი არსენალი. აგიტატორები და პოლიტინფორმატორები ყოველ თავიანთ გამოსვლას დაუკავშირებენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, ქარხნის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. ადგილობრივი რადიოკვანძიონ გადაცემამ მუშა-მოსამსახურეთა გამოსმაურებებს, მოვუთხრობთ მათ სამაგალითო საქმეებზე.

გადაწყვეტილი გვაქვს განმარტებითი მუშაობისათვის გამოვიყენოთ ყველაზე საუკეთესო ლექტორები და პოლიტიკური მომხსენებლები. მოვაწყოთ თათბირ-სემინარსა და თეორიულ კონფერენციას პოლიტინფორმატორთა ჯგუფისათვის დასახმარებლად, გავაძლიერებთ მუშაობას იდეოლოგიური კადრების იდეურ-თეორიული მომზადების სისტემის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

დიდ პატრიოტულ და შრომითს აღმავლობას, რაც ახლა სუფევს ჩვენთან ქარხანაში სკკპ XXV ყრილობის მოწვევასთან და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით, მთლიანად წარვმართავთ სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმის 26 დეკემბრისათვის შესასრულებლად, გადამეტებით მივცემთ სამშობლოს 141 ათასი მანეთის პროდუქციას.

ამ საქმეში, ცხადია, თავის ღირსეულ სიტყვას იტყვიან კომუნისტები, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები.

ზ. ზურაბიშვილი,

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი.

ზენი შრომა—რესპუბლიკას

ზაირა ალხანიშვილისა და მისი მიმდევრების რაიონული შეკრების მონაწილეთა გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირა მხარი პარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიურომ და დაავალა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მეცხოველეობის ფერმები მალე მთლიანად გადავიდნენ სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციაზე. ამჯერად კი მთავარია ჩვენს რაიონში მოკლე დროში და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, პირუტყვს შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა.

ჩვენ, კოლმეურნეები, გულდასმით გავეცანით ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვას და ერთხმად გადავწყვიტეთ მეცხრე ხუთწლედი წარმატებით დავამთავროთ. ამისათვის პირველ რიგში სათანადო წვლილი უნდა შევიტანოთ რესპუბლიკაში გეგმის ვადამეტებით 120 მილიონი მანეთის პროდუქტების დამზადების საქმეში. მეცხოველეობის განვითარება უსაკვებოდ შეუძლებელია. ეს ჩვენ კარგად გვესმის და დღენიადაგ იმას ვცდილობთ, რომ სულ უფრო მეტი რაოდენობით დავამზადოთ პირუტყვის საკვები. წლეულს 60.000 ტონამდე უხეში საკვები უნდა დავამზადოთ. გეგმა-დავალება თითქმის ხანახვერად შეასრულეთ. სულ მალე შეასრულებთ ხენაჟის დამზადების დავალებასაც, უკვე ჩადებული გვაქვს 20 ათას ტონაზე მეტი სენაჟი. მოსავლის აღება წარმატებით მიმდინარეობს, ნაწვარალს მაშინათვე ვხნავთ, ხასუქი შეგვაქვს და ხასილოსე სიმინდს ვთესავთ. ასე რომ წლეულს ჩვენი პირუტყვი მოლიანად უზრუნველყოფილი იქნება საკვებით, რაც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა-დავალების შესრულების რეალურ პირობებს ქმნის.

ი. ხუციურაული,

წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ფინანსების გზები

ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, თუ ჩვენი რაიონის, ჩვენი ქალაქის, რესპუბლიკის, მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს ინტერესებით.

ჩვენი იდეური რწმენა და პოლიტიკური შეგნება ის იარაღია, რომელიც შეგვმართავს შრომასა და ბრძოლაში. იდეური რწმენა და პოლიტიკური შეგნება კი გვრაზმავს პარტიის წინასწარდასახულებათა განსახორციელებლად.

ყველაფერი ეს, ცხადია, ემსახურება მშვიდობას, რასაც უდიდესი ამაგი დასდო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. იმ დიდმა შეფასებამ რომელიც მან მისცა კერძოდ საბჭოთა ინტელიგენტს, შრომისადმი მის შეგნებულ და ინიციატივიან დამოკიდებულებას, აგრეთვე ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის ამერკაკავასიის რესპუბლიკების წვლილის შეფასება ცხადია. მოგვცემს ახალ, მძლავრ სტიმულს შემოქმედებისათვის.

გ. ჩიტაია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საისტორიო-სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.



ხმას აძლევს მოსკოვი

არჩევნების დღე — 15 ივნისი მოსკოვში დაიწყო დილის 6-საათზე, როცა საარჩევნო უბნები გაიღო. ამ დროისათვის ცენტრალურმა გაზეთებმა, საკდესმა, ცენტრალურმა ტელევიზიამ და საკავშირო რადიომ შორეული აღმოსავლეთიდან და ციმბირიდან, ურალიდან და შუა აზიის რესპუბლიკებიდან მიიღეს ასობით ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს დეპუტატთა არჩევნები მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებსა და ადგილობრივ საბჭოებში.

საბჭოთა ადამიანებს გულში ჩასწვდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც მან დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა არჩევნებისწინა კრებაზე წარმოთქვა. შესანიშნავი, ღრმა-შინაარსიანი სიტყვა გამსჭვალულია მშვიდობისა და საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის ზრუნვით. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, დიდი შეფასება მისცა ყველას, ვინც თავის შრომით ამრავლებს სამშობლოს სიმდიდრეს, დგას სოციალისტურ მონაპოვართა სადარაჯოზე. მან ქებით მოიხსენია ჩვენი მოსკოვი, რომელიც, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, პლანეტის მთელი პროგრესული ძალებისათვის, კაცობრიობის შვიდობისჯ და ბედნიერებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ გადაიქცა.

— ამხანაგ ბრეჟნევის სიტყვამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი გამსჭვალულია ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით, ქმაყოფილებითა და სიხარულით მივეცი ხმა ლეონიდ ილიას-ძეს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ამომრჩეველმა ი. ს. შტიკანოვმა.

№ 34 ბაუმანის საარჩევნო ოლქის უბანში ივანე სტეფანეს-ძე შტიკანოვი თავის მეუღლესთან ანასტასია სიმონის ასულთან და შვილ ანატოლთან ერთად მივიდა. სამივე საანგარიშო-ანალიზურ მანქანების ქარხანაში მუშაობს, ამ ქარხანაში, რომლის კოლექტივმა დაასახელა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სუპრემის დეპუტატობის კანდიდატად. ოჯახის უფროსი ოსტატია, ცოლი — ბუღალტერი, შვილი ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ვახდა უმაღლესი მე-5 თანრიგის ელექტრომემონტაჟე.

— უდიდეს ცმაყოფილებას გვანიჭებს ყველას კომუნისტური პარტიის, ამხანაგ ბრეჟნევის მოღვაწეობა საგარეო პოლიტიკის დარგში. უმაგალითო შეუპოვრობით იბრძვიან ისინი მშვიდობის ჯანმტკიცებისათვის, — თქვა შემდეგ ი. ს. შტიკანოვმა. ჩვენი მეშური მადლობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იმ ზრუნვისათვის, რომელსაც დღენიადაგ იჩენენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ეკუთვნილებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დარბაზში, სადაც საარჩევნო უბანია მოთავსებული, სულ უფრო მეტი ხალხი ირეკება. ძლიერდება საზეიმო განწყობილება. სხვებთან ერთად მოვიდნენ ცოლქმარი გრიბოედები — მიხეილ დმიტრის-ძე და ზინაიდა ნიკიფორეს ასული. ჩემი ოჯახი, თქვა მ. დ. გრიბოედმა, თვალნათლივ ადასტურებს საბჭოთა ადამიანის განათლების, შრომის უფლებას: ერთი ვაჟი და ქალიშვილი ინჟინერები არიან, მეორე ვაჟმა ტექნიკუმი დამთავრა. ყველას კარგი სამუშაო აქვს. თვითონ სად ვსწავლობდი? უფროსმა გრიბოედმა გაიღიმა: უკვე ბევრ ბაუშვათს ვადავაბიჯე. — ჩემი ბაუშვობის წლებში, დამიჯერეთ, მუშათა გარეუბნებში ბევრ ბაუშს სკოლის დამთავრების შესაძლებლობაც კი არ ჰქონდა.

საარჩევნო უბანში ყველა კარგი, სიხეიმო, ხალისიანი განწყობილებით მოდის. ეს გასაგებიც არის: ახალგაზრდები და ვეტერანები, მუშები და სპეციალისტები, მეცნიერები და მსახიობები, სტუდენტები და სამხედრო მოსამსახურენი, მოსკოვის ერთ-ერთი ინდუსტრიული რაიონის მცხოვრებნი — ხმას აძლევენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მოსკოვი, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, დამკვრელური შრომით შეეგება არჩევნებს. ვოიკოვის სახელობის თუჯასმსხმელო ქარხანაში შეიდასმა კაცმა — ყოველმა მესამემ 15 ივნისისათვის შეასრულა ნახევარი წლის დავალება, ათობით მშრომელმა — ხუთწლედი. მათ შორის არიან სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი, ბრიგადა მ. ი. ოსტაშევი. იგი ერთ-ერთი პირველი მივიდა ლენინგრადის ოლქის საარჩევნო უბანში, სადაც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კენჭს იყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

— ნიკოლოზ ვიქტორის-ძეს დიდი წვლილი შეაქვს კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოების როლის ამაღლებაში, — თქვა მ. ი. ოსტაშევამ. — მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ნამდვილად სახალხო ხელისუფლების ორგანოებია. დეპუტატობის კანდიდატად ჩაგეს ქვეყანაში ორ მილიონზე მეტი კაცია დასახელებული, ვოიკოველებმა სწარმოს ცხრა საუკეთესო მუშა და სპეციალისტი დასახელეს.

ვოიკოვის სახელობის ქარხანასთან არის დაკავშირებული ბრანდავის ე. მ. შიპაპნოვის ცხოვრება, რომელიც აქ 15 წლისა მოვიდა 1942 წელს. ამხანაგებმა იგი მესამედ დასახელეს რაიონის დეპუტატობის კანდიდატად.

ახალგაზრდობის საქმეთა რაიონულ კომისიაში მუშაობისას განსაკუთრებით ვიგრძენი ვეტერანთა დიდი პასუხისმგებლობა მოზარდი ცვლის აღზრდისათვის. ქარხანაში ოცზე მეტი მოწაფე მყავს. ისინი მაღალკვალიფიციური მეჩარხენი არიან. ვამაყობ გაწეული ნდობით და შევეცდები გავამართლო იგი, — თქვა ვ. მ. შიპაპნოვმა, რომელმაც ხმა მისცა ნ. ვ. პოდგორნის, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

№ 38 ფრუნზეს საარჩევნო ოლქის უბანში მოსკოველებმა ხმა მისცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს. ამომრჩეველთა შორის საკდესის კორესპონდენტები შეხვდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკის ინსტიტუტის დირექტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ბ. პ. მურინს.

— ჩვენი ინსტიტუტი, — თქვა მან, — კვლევას ეწევა დარგებში, სადაც მჭიდროდ არის შერწყმული რადიოტექნიკა, ფიზიკა და კიბერნეტიკა. ინსტიტუტის ნამუშევრები ხელს უწყობს მეცხიერულ-ტექნიკიური პროგრესის ტემპის ჩქარებას, ამიტომ სიამოვნებით მივეცი ხმა ალექსი ნიკოლოზის-ძეს, რომელიც ძალონეს არ იშურებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის.

პირველთა შორის მისცა ხმა მეორე სასთის ქარხნის მხეზავმა ა. პ. კისაროვამ. მან პირადი ხუთწლეული 3 წელიწადში და 7 თვეში შეასრულა.

— ხმას მივცემ ჩვენს დეპუტატობის კანდიდატებს — მშობლიური ქარხნის მუშაკებს — მოლარავს ტ. ფ. დოგჩენკოს და დირექტორს დ. ა. პარამონოვს, თქვა ანტონინა პეტრეს ასულმა. — ჩვენ, კაცის მუშები, დირექტორს დმიტრი ალექსის ძეს სიკვბოკიდან ვიცნობთ. ჯერ კიდევ ომაწყალობა დაიწყო შრომა ქარხანაში, განვლო გზა მუშიდან დიდი საწარმოს ხელმძღვანელამდე.

ბიულეტენებში, რომლებიც დედაქალაქის ვეშნიაკოვსკის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს მისცეს, შეტანილია რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-ბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვიქტორ ვასილის ძე გრიშინი.

ამ ოლქის № 111 საარჩევნო უბანში ერთ-ერთმა პირველმა მისცა ხმა ექიმმა, № 16 პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგე ლ. ვ. გავრილენკომ.

— ხელისუფლების ორგანოების არჩევნები ყოველთვის საზეიმო მოვლენაა, თქვა მან. — 15 ივნისს კი იგი დიემთზეგ ჩვენს პროფესიულ დღესასწაულს — მედიცინის მუშაკის დღეს. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტი, მოსკოვის საბჭო დღენიადაგ ზრუნავენ ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის. ოთხი წლის მანძილზე ჩვენს პეროიის რაიონში გაიხსნა შვიდი ახალი პოლიკლინიკა, ოთხი საავადმყოფო კორპუსი. შვიდი ათასზე მეტი მედიცინის მუშაკი ყოველდღიურად ემსახურება მცხოვრებლებს. ამ არჩევნებში ხალხის კანდიდატებთან ერთად მე ხმა მივეცი ჩვენს მშვენიერ მოსკოვს — ქალაქს, რომელიც სანიმუშო, კომუნისტური ქალაქია.

წლეულდელი არჩევნები მიმდინარეობს ლენინშესანიშნავ დროს — რუსეთის იმ პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავის წელს, რომლის ქარცეცხლშიც იშვა საბჭოები — საბჭოთა ხელისუფლების პირველსახე. მოსკოვის პროლეტარიატმა პირველმა აღმართა ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დროშა.

— ჩვენი ქარხნის მუშები პრესაში შეიარაღებული აჯანყების ამტიკერი მონაწილენი იყვნენ, — აღნიშნა მანტულინის სახელობის შაქარაფინადის ქარხნის ვეტერანმა, დიდი სამამულო ომის მონაწილემ მ. ნ. ფედულოვმა, რომელიც ხმას აძლევდა № 40 უბანში. — მამა-პაპათა რევოლუციურ და შრომითის ტრადიციებს არასოდეს არ ვიღალწყებთ, ამ ტრადიციებით ვზრდით ახალგაზრდა მუშებს.

საბჭოთა ხელისუფლება — ეს არის თვითეული საბჭოთა ადამიანის თავისუფალი შრომის სიხარული, მისი კეთილდღეობა. ეს არის მისწრაფება მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრო მთელი მსოფლიოს ხალხებთან. საბჭოების ხელისუფლების მიერ მოპოვებული და დამკვიდრებული დიდი ადამიანური ბედნიერების ერთ-ერთი მაგალითია პოლეულეევების ოჯახი. ცოლ-ქმარი ანა პავლეს ასული და ნიკოლოზ ბორისის ძე გაგარინის რაიონის № 4 უბანში შვილებთან ერთად მივიდნენ.

13 საათისათვის მოსკოვში ხმა მისცა ამომრჩეველთა 97 პროცენტმა.

არჩევნების დღემ კვლავ დაადასტურა მოსკოველთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობა. ახალი ძალით გამოვლინდა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, დედაქალაქის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება წარმატებით შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დავალებები, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

(საკდესი).

საქეთილდღეოდ!

სურათზე: თბილისის კალინინის რაიონის № 8 საარჩევნო უბანში.

ხ. კილაძის ფოტო.

მამათა ანდერძის ერთგულნი

კიევი, 14 ივნისი. (საკდესი). ორი პომეგ ხალხის ერთიანობის შთამბეჭდავი დემონსტრაცია გახდა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ახალგაზრდობის ძეგობრობის დღეები. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის წარმომადგენლები გულთბილად და გულუთადად მიიღეს ბევრ ქალაქსა და სოფელში. დღეს ამ ინტერნაციონალური ზეიმის მონაწილენი შეიკრიბნენ კულტურის სასახლე „უკრაინაში“, სადაც გაიმართა საზეიმო მიტინგი ამ შეხვედრების დამთავრების გამო.

მიტინგზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი. რომელმაც ტაშის გრიალში წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი წერილი.

დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გუსტავ ჰუსაკის მისალმებას. რომელიც წაიკითხა ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეიმ პოლედნიკმა.

შკურეტლებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

დასასრულ გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი.

სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის

ზუგდიდი, 15 ივნისი. (საქინფორმის კორ.). ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მთელ ქვეყანაში განთქმული მეჩაიეების ტრადიცია გახდა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად აღნიშნონ ახალი შრომითი მიღწევებით. დღეს, როცა მთელი სოფელი ცხოვრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიერ ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველის წინაშე ამ წლის 13 ივნისს წარმოთქმული შესანიშნავი და ღრმად შინაარსიანი სიტყვის შთაბეჭდილებით, რუხის მხვნელ-მთესველები და მეცხოველეები მივიდნენ საარჩევნო უბანში, რათა შეესრულებინათ მოქალაქეობრივი მოვალეობა — აერჩიათ თავიანთი სრულუფლებიანი წარმომადგენელნი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში. ხმის მიცემის შემდეგ ,ისინი არ ჩქარობენ შინ წასვლას. ამ სახიხარულო დღეს სურთ ერთმანეთს გაუზიარონ აზრი, ილაპარაკონ იმ რეზერვების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, იმის შესახებ, თუ რა ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდებიან ისინი შშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას, რომელიც ახალ, ფართო პოლიტიზონტებს დაუსახავს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომისათვის.

ცდილობენ რა შეიტანონ თავიანთი წვლილი მიმდინარე წელს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 320 მილიონი მანეთის ზეგეგმიური პროდუქციის გამოშვების დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში, რუხელი შშრომელნი დიდი ჩაისათვის ბრძოლაში ზედიზედ იპყრობენ მიჯნებს. დღეს. არჩევნების დღეს. მათ უკვე ტაკეს ხარისხოვანი ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალების გადამეტებ შესრულება. ხუთწლედის მიხუთე, დამამთავრებელ წელს რუხის კოლმეურნეობის პლანტაციებში მოკრეფენ 2633 ტონა ხარისხოვან ჩაის.

ეს, მიდიან საარჩევნო უბნისაკენ აქაური მზიური ველის გმირები, მწვანე ოქროს სახელოვანი მკრეფავები. სოციალისტური შრომის გმირები, ორი ლენინის ორდენის კავალრები ი. ბულიკერია და შ. ბაბკაძე. ისინი არა მარტო ჩაის ფოთლის ინტენსიური კრეფის ოსტატები არიან, არამედ ახალგაზრდა მეჩაიეთა დამრიგებლებიც. შრომისმოყვარეობისა და მშობლიური კოლმეურნეობის ინტერესების ერთგულებისათვის რუხელებმა შ. ს. ბაბკაძე დაასახელეს ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად.

ამ სადღესასწაულო დღეს კოლმეურნეები სიამაყით შესცქერიან იმათ, ვინც ჩაის მწვანე პლანტაციები საზოგადოებრივი მეურნეობის სიმდიდრის წყაროდ აქცია. განა სწორედ მათი შრომისმოყვარე ხელით არ მოიკრეფა ადგილობრივი საბჭოების უკანასკნელი არჩევნების შემდეგ განვლილ წლებში 12 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

რუხელი კოლმეურნეებისათვის საარჩევნო ბიულეტენები, რომლებზეც აღნიშნულია ხალხის რჩეულთა სახელები, იმის თავდებია, რომ მშრომელი გლეხობის ცხოვრება კიდევ უფრო შეძლებული და ლამაზი იქნება. ამომრჩევლებმა კარგად იციან, რომ დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან რესპუბლიკის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენელნი, რომლებსაც თავიანთი საქმეებით არაერთხელ დაუმტკიცებიათ სამშობლოს, კომუნისტთა ლენინური პარტიის ერთგულება.

იმათ შორის, ვისაც დღეს ირჩევენ სოფელ რუხის მშრომელნი, არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის-ძე შევარდნაძე.

უკვე შუადღისათვის როგორც რუხის დიდ საკოლმეურნეო სოფელში, ისე მეზობელ სოფლებში, რომლებიც № 306 რუხის საარჩევნო ოლქში შედიან, კენჭისყრა ძირითადად დამთავრებული იყო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლენინის ორდენიანი, ორჯონიკიძის სახელობის ქალაქ თბილისის ტექნიკური ბიბლიოთეკა

ხმა მისცა საქართველომ!

მომავალზე ფიქრით

დედაქალაქის ლენინის სახელობის რაიონის ამომრჩევლებთან

„**მუდამ** პარტიასთან ერთად“; „ხმა მივცეთ ჩვენს მომავალს, ჩვენს ძლიერებას“; „თავდადებული შრომით ვუპასუხოთ პარტიის ყოველ მოწოდებას“; „ყველა — როგორც ერთი, არჩევნებზე“; — ამ ლოზუნგებით იყო მორთული დედაქალაქის ლენინის რაიონის ცენტრალური მაგისტრალი — ოქტომბრის ქუჩა, ამ ლოზუნგებს შეხვდებოდით ყველგან — გლდანის ახალ საცხოვრებელ მასივსა თუ თბილისის ზღვაზე, ავჭალაში თუ ელმავალსაშენებლო ქარხნის დასახლებაში.

არჩევნებისათვის მზადება რაიონში ფართო ფრონტით წარმართა. კოლექტივებმა გააჩაღეს შეჯიბრება ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის ღირსეულად შეხვედრისათვის. ბევრმა მათგანმა ვალდებულება იკისრა ნახევარი წლის გეგმა არჩევნების დღისათვის შესრულებინა.

უკვე შეჯამდა ამ შეჯიბრების შედეგები და მაჩვენებლები მოსალოდნელზე გაცილებით უკეთესია. ეს გასაგებიც არის. ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის მშრომელებმა უდიდესი ენთუზიაზმით იშრომეს არჩევნების წინა დღეებში, ორმაგი, სამმაგი გადაჭარბებით გაანაღდეს დღიური დავალებები.

— ამხანაგ ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, რომ დღითიდღე იზრდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, ეროვნული შემოსავალი, რომ სულ უფრო მეტ ავტორიტეტს იძენს ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე, რომ ჩვენმა მშრომელებმა გმირული შრომის მაგალითი გვიჩვენეს ხუთწლედის განვლილ მანძილზე, ლენინის რაიონის მშრომელებს გულს სიხარულთა და სიამაყის გრძნობით ავსებს, — თქვა გუშინ ჩვენთან საუბარში ლენინის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატმა გივი სირგოს-ძე გოჩიჩილაძემ, — და მათ შეუძლიათ იამაყონ, რადგან არჩევნებს დიდი წარმატებით ხვდებიან.

რაიონის მრეწველობამ ხუთი თვის გეგმის გადამეტებით მოახდინა 5 მილიონ 779 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია და 200 მილიონი მანეთის პროდუქციის ანგარიშში უკვე შეიტანა 8,3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, წლიური ვალდებულება კი 15 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების ითვალისწინებს. ასე რომ, შრომის ტემპი მოსაწონია.

№ 34 საარჩევნო უბანი. ოცი ელმავალსაშენებლო ქარხნის დასახლებაშია. აღრიანად მოვიდნენ აქ ამომრჩევლები და პირველი ბიულეტენი ყუთში ჩაუშვა ელმავალსაშენებლო ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვასილ პაპინაშვილმა.

— დღეს განსაკუთრებით მოღლვარებით ვაძლევ ხმას, — თქვა ვ. პაპინაშვილმა. ამხანაგ ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიერ მუშათა კლასზე თქმული მადლიერებით სავსე სიტყვები თვითეულ ჩვენგანს აღელვებს, სიხარულს ჰვგრის. ეს მარტო ჩემი აზრი როდია, ამ სიტყვებს ერთხმად იმეორებს ყველა, ვინც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვას ისმენდა...

საკაძის ქუჩაზე მდებარეობს № 75 საარჩევნო უბანი. აქ ყუთთან პირველად მისული ვერავინ მოასწრო 1925 წლიდან სკკპ წევრს მიხეილ ნოზაძეს.

— მიხარია, — თქვა მან, — რომ ასეთ ვითარებას მოვესწარი. ჩვენი ხალხის კეთილდღეობა დღითიდღე იზრდება. საამაყოთ ვაძლევ ხმას ჩვენს რჩეულებს.

საამაყის გრძნობით მოვიდნენ საარჩევნო ყუთებთან და ხალხის რჩეულთ თავიანთი ხმა პირველებმა მისცეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მზია აფცაიურმა (№ 3 საარჩევნო უბანი), რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ტატიანა ბედევრიშვილმ (№ 30 საარჩევნო უბანი), სალოკომოტივო დეპოს ყოფილმა მემანქანემ გიორგი ვასილიევმა (№ 69 საარჩევნო უბანი), პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა დავით ბერიაშვილმა (№ 70 საარჩევნო უბანი), ქარხანა „ცენტროლიტის“ მეფალიბემ სერგო კუპრაძემ (№ 3 საარჩევნო უბანი) და სხვ.

— ასეთ სასიხარულო დღეს არასდროს შევსწრებივარ — გვითხრა № 69 საარჩევნო უბნის ამომრჩეველმა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ოსტატმა თინა მაისურაძემ, — რჩეულთა შორის არის ჩემი აღზრდილი — კომბინატის მქსოველი ნინელი ჯიმშელეიშვილი. მთელ ღამეს არ მეძინა, რომ აქ მოსვლა არავის მოესწრო. მინდოდა პირველს მიმეცა ხმა იმ ახალგაზრდისათვის, რომელიც ნამდვილად ღირსეული მუშა და მოქალაქეა...

გუშინ დედაქალაქში დილით წვიმდა, მაგრამ ქუჩებში, საარჩევნო უბნებთან სიცოცხლე ჩქეფდა. ლენინის რაიონის მშრომელებმა აღრიანად მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი — საარჩევნო ყუთებთან დღის პირველ ნახევრში უკვე მივიდა ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა. რაიონის 91 საარჩევნო უბანში გუშინ 133 ათასზე მეტი მშრომელი მივიდა, რომლებმაც ხმა მისცეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, საქალაქო და სარაიონოლო საბჭოების 380 დეპუტატობის კანდიდატს.

რ. ჭელიძე.

ოღინავეთა ზღვის საუკეთესონი

გუშინ თბილისის მე-5 საარჩევნო უბანში

აი კულტურის, მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების სავანე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონი, კაღრების სამქედლო, როგორც მას ეძახიან. დედაქალაქის 11-დან 7 უმაღლესი სასწავლებელი, 39 სამეცნიერო-საკვლევი და ათობით საპროექტო ინსტიტუტი ამ რაიონში ია განლაგებული.

რაიონის საწარმოებს გარკვეული წილი უდევთ ქალაქის მრეწველობაში, ხოლო საცხოვრებელი კვარტალებით, მასიურებითა და ახალი დასახლებებით ეს რაიონი ერთ-ერთი პირველია რესპუბლიკაში. ბევრი რამ დღევანდელი ამომრჩევლების თვალწინ დაარსდა, გაიხსნა და აშენდა.

სულ ახლახან კი ყველასათვის ზეიდათაწმიდა გახდა ქალაქის ეს უბანი. უცნობმა ჯარისკაცმა, რომელშიც თვითეული შინმოუსვლელის დედამ, მამამ, დამ თუ ძმამ თავიანთი შვილი, სისხლი და ხორცი, მახლობელი შეიცნეს, აქ, გამარჯვების პარკში, დაიდო საუკუნო ბინა. დღეს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვება და გაღებულ მსხვერპლთა ხსოვნა, თავს ხრის ამ უკვდავების წინაშე.

გუშინ ადრე დილით გაიღვიძა ქალაქმა, საარჩევნო უბნებმა სტუმართმოყვარულად გააღეს კარები. ამ დღეს წარმატებით შეხვდა რაიონის ბევრი ამომრჩეველი, ზოგიერთმა მათგანმა სწორედ ამ დღისათვის შეასრულა 6 თვის დავალება, ბევრი სტუდენტი მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით მივიდა საარჩევნო ყუთებთან.

სადღესასწაულოდ არის მორთული მეხუთე საარჩევნო უბანი, რომელიც 56-ე საშუალო სკოლაშია მოთავსებული. აქ ეს დიდი სახალხო პოლიტიკური კამპანია ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაქცეულა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი ელენე ცერცვაძე ამომრჩევლებს ულოცავს არჩევნების დღეს და იწვევს მათ ხმის მისაცემად. საარჩევნო კომისიის მაგიდასთან პირველი მივიდა მეცნიერ-მუშაკი შ. მეტრეველი ოჯახით. — პირველი ვაძლევ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ვუსურვებ მათ წარმატებას შრომაში და ადამიანების საკეთილდღეო საზოგადოებრივ საქმიანობაში, — განაცხადა მან.

უბანში მოვიდა საქართველოს სსრ შინეგბლობის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ნესტორ გიორგაძე, სკკპ წევრი 1921 წლიდან. მას საზოგადოება იცნობს, როგორც ქ. რუსთაველის პირველ შენებელს. იგი ხმას აძლევს ხალხის რჩეულთ.

— დღევანდელი დღე ჩემთვის ორმაგად ბედნიერია, — ამბობს ხმის მიცემისას სტუდენტი დ. იმერლიშვილი, სწორედ დღეს შეუსრულდა 18 წელი და დღესვე პირველად ვაძლევ ხმას. პირობას ვდებ ამომრჩევლების წინაშე — სანიმუშო ვიყო სწავლასა და შრომაში.

პირნათლად იხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას გადამდგარი პოლკოვნიკი გ. კანაჩაძე, ს. მენთეშაშვილი ოჯახით და სხვები.

დილიდანვე ბევრი ხალხია № 34 საარჩევნო უბანში. ხმის მიცემის პირველობა კი ერგო ამაგდარ ადამიანს, ძველ ბოლშევიკს, 1919 წლიდან სკკპ წევრს გიორგი ყინნაშვილს. მან აიღო ბიულეტენი, დინჯად გაეცნო მას, მიუბრუნდა ამომრჩეველს და განაცხადა: „ჩემს ხმას სიხარულით ვაძლევ დასახელებულ კანდიდატებს, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს“.

ამის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენი აიღო ახალგაზრდა ამომრჩეველმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა უჩა ადამიამ. მოიხადა რა მოქალაქეობრივი ვალი, მან თქვა: „ყურადღებით მოგისმინე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა წინასაარჩევნო შეხვედრაზე და განვიმსჭვალე ღრმა რწმენით. ხმას ვაძლევ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, შენებას. პირობას ვიძლევი მეც ვიდგე ახალი ცხოვრების მშენებელთა პირველ რიგებში.

ამ დღეს აქ ხმა მისცეს დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა ა. ზაქარეიშვილმა და გ. ქუთათელაძემ.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით, ერთსულოვნად მისცეს ხმა თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებს ამ რაიონის 33-ე და სხვა უბნის ამომრჩევლებმა. რაიონის 79-ვე საარჩევნო უბანში დღის 3 საათისათვის თითქმის დამთავრებული იყო ხმის მიცემა.

არჩევნებმა მკაფიოდ ცხადყო მშრომელთა ერთიანობა და ერთსულოვნება. მშრომელები იწონებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს გატარებულ ღონისძიებებს და დარაზმული არიან მის გარშემო, იღვწიან ხუთწლედის დავალებათა პირნათლად განხორციელებისათვის.

ეთერ მამალაძე.

ახალი ძალით

საამყრეთ ოსეთი

ზეიმია ჩემს მშობლიურ მხარეში. მოდის ხალხი სახემცინარი, ხალხი გაბარჯვებული, აღორძინებული მიწისა. ქუჩები, მოედნები, სკვერები თუ ბაღები გალაღდა მხიარული მეღოდიებით.

ცხინვალის ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის წინ გაშლილ ცენტრალურ მოედანზე ვართ. ხალხი თანდათან მატულობს. ერთნი შენობიდან ღიმილიანი გამოდიან. ეს ისინი არიან, ვინც უკვე მისცა ხმა ჩვენს ბედნიერებას, ჩვენს კეთილ მომავალს. მეორენი კი შენობისკენ მიეშურებიან, რათა ერთხელ კიდევ დაადასტურონ პარტიისადმი, მთავრობისადმი, ერთგულება.

დღის 12 საათია. მუსიკის ხმა არ წყდება. საარჩევნო კომისიის მუშაობა კი თანდათან ნელდება. ამომრჩეველთა 80 პროცენტმა უკვე მისცა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. გულით მეხიამოვნა, როცა შევიტყე, რომ ასეთივე დიდი ერთსულოვნებით მიმდინარეობს ხმის მიცემა ქალაქის სხვა საარჩევნო უბნებში, მთელ ოქრში. ზეიმობენ ადამიანები. ხმას აძლევენ რჩეულებს.

განუწყვეტლივ მოდის სასიხარულო ცნობები ჯავიდან, ზნაურიდან, ლენინგორიდან. საარჩევნო ბიულეტენებს იღებენ მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებნი, შრომისმოყვარე და ამაყი მეცხვარეები, კვასიული მაღაროელები და ზნაურელი მეტალეკეები. საზაფხულო იალაღებიდან სოფელში ხმის მისაცემად რიგრიგობით ჩამოდიან თავრობნები, კოლმეურნეობათა ბრიგადირები, საკვებმომპოვებლები და რიგითი მწყემსები. ასეა ჩვენს ქვეყანაში. სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობს ქალი და კაცი, მუშა და კოლმეურნე, მეცნიერმუშაკი, ხელოვანი, მწერალი... მთელი ხალხი.

ამ არჩევნებს განსაკუთრებული ელფერი მისცა, კიდევ უფრო აამაღლა მისი შინაარსი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრისას.

ეს სიტყვა მე გუშინ გაზეთებშიც წავიკითხე, გულმოდგინედ დავუგდიო ყოველ აბზაცს, წინადადებას. მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ ეს სიტყვა ჩვენი მომავალი დიდი საქმეების დიდი გზამკვლევია.

მასში მე დავინახე მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი, დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. სიტყვაში გამოთქმული მაღალი აზრები დიდ მოვალეობას გვაკისრებენ.

აგერ უკვე 30 წელიწადია მშვიდობიანად ვცხოვრობთ. ეს ბედნიერება ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ მოგვიტანა.

მაშ ასე, ახალი ძალით შევუდგეთ თანამედროვეობის ამსახველი სრულყოფილი ნაწარმოებების შექმნას. კვლავ გავახაროთ ჩვენი მკითხველები მაღალხარისხიანი ჰოეზიით, პროზით. პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი მოვალეობა საბჭოთა ადამიანის წინაშე.

რევაზ ასათიანი,
მწერალი.

გაფრკეცებული ალ-ღონით

ქუთაისი

სიმართლე რომ ვთქვა, არჩევნების წინა ღამეს გვიან დამეძინა, ჯერ იყო და საერთო საცხოვრებლის წითელ კუთხეში საუბარს შევყევითო, მერე კი შთაბეჭდილებებით ისე დავიტვირთე, თვალზე რული არ მომეკარა. საუბარი ისევ და ისევ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვას შეეხებოდა.

ჩვენთვის, მუშებისათვის, განსაკუთრებით მახლობელი და მშობლიურია ლენინდ ილიას-ძე. მისი ყოველი გამოსვლა, მისი ყოველი სიტყვა შთამბეჭდავი და ისეთია, გულს რომ სიამაყით გვივსებს. მან აღნიშნა: ყრილობის მიერ დასახული ყველა მიმართულებით გაწეულია დიდი მუშაობა, მოპოვებულია სერიოზული წარმატებები.

ვანა ამ ლაკონიურ წინადადებაში ქართველ ავტომშენებელთა წარმატებაც არ არის! მაგრამ ამოცანები, გადაუჭრელი პრობლემები კვლავ ბევრია. შრომის ნაყოფიერება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ფონდუკუგება, სწორედ ამაზე ესაუბრობდით და ეკამათობდით იმ ღამეს მხეხავი შამილ სანდოშვილი, ზეინკლები გოგი ქურდაძე და გენადი თაბუკაშვილი. გვიანობამდე შევყევითო... დილით ადრე მუსიკის საზეიმო ხმებმა გამოგვაღვიძა. არ გვეგონა თუ ვინმე დაგვასწრებდა, მაგრამ ამის რას ვხედავთ — 100 წელს მიტანებული მონუცი ქალი შვილთან ერთად უკანვე უბნიდან გამოდის. იგი ნატალია თევდორაძე აღმოჩნდა. 12 შვილი გაზარდა მხცოვანმა ქალმა. ექვსი მათგანი დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა. სამი შინ არ დაბრუნებულა.

— უთენია ყველანი ფეხზე დგებოდნენ, უბანში წამიყვანეთ, ჩემი ხმა უნდა მივცე ხალხის რჩეულებსო,— ღიმილით გვითხრა დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანმა სერგო თევდორაძემ და თან დაუმატა, — ეს რა, იმ თავსხმა წვიმაში, უცნობი ჯარისკაცი რომ ქუთაისში გამოატარეს, ვერანგზით სახლში ვერ გავაერთეთ, სიხარი ვნახე იმ ჯარისკაცის ცხედარი ჩემი ამბაკო ან აფრასიონი, ან ალექსანდრე იქნებაო. მერე ცრემლგამშრალი მოთქვამდა ომში დაღუპულ ჩემს ძმებზე.

უფროსებმა რომ დაგვასწრეს, ცოტა არ იყოს, ახალგაზრდებს შეგვრცხვა, უბანში სწრაფად შევედით მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადეთ. დღის პირველ ნახევარში № 5 უბნის 1.897-მა ამომრჩეველმა — უკლებლივ ყველამ, როგორც ერთმა კაცმა ხმა მისცა ხალხის რჩეულთ.

უბანში გვიანობამდე დაყოვეთ, ავტომშენებელთა ჯგუფებში საუბარი გრძელდებოდა ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვის გარშემო. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მზად არიან ღირსეულად გაანაღონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და პირნათლად შეხვდნენ პარტიის XXV ყრილობას. მე კი, როგორც ახალგაზრდა კომუნისტს, რომელმაც პარტიის წევრობის ბილეთი დიდი ლენინის გამოსახულებით ახლახან ჩამბარეს, რა მეთქმის — ხვალიდან გაორკეცებული ენერგიით შევუდგები მუშაობას.

ე. თოდუა,
ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ძრავის საამქროს ხარატი.

ერთხმად, ერთსულოვნად

რუსთავი

საბჭოთა მოქალაქეზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო გამოსვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მასში მაღალი შეფასება აქვს მიცემული სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომას. მოიყვანა რა მეშახტეთა შესანიშნავი თაოსნობის — ერთი მექანიზებული საწმენდი სანგრევიდან დღე-ღამეში ათასი და მეტი ტონა ქვანახშირის ამოღების მაგალითი ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მოგვიწოდა მეშახტეთა ეს გამოცდილება გამოვიყენოთ და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მრეწველობისა და საერთო სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმაც.

რუსთაველმა მშრომელებმა, რომლებიც წარმატებებს აღწევენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, დეპუტატობის კანდიდატებად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და საქალაქო საბჭოში ნამდვილად მოწინავე, სახელმოხვეჭილი ადამიანები წამოაყენეს. მეტალურგიულ ქარხანასა და ქიმიურ კომბინატში, აგრეთვე სამშენებლო ხარაზოებზე ფართოდ გაითქვეს სახელი უფროსმა მვალცავმა ემელიანე სევერიანეს-ძე კურტანიძემ, უფროსმა მეაპარატემ ვალენტინა ნიკოლოზის ასულმა რუდმა და მშენებელმა ოთარ გიორგის-ძე პატიაშვილმა. ისინი თანამოსაქმეებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა ამომრჩევლებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, ცნობილ ქიმიკოსებსა და მეტალურგებს გოგონა გაგუას, სოფიო ჯაბანაშვილს, უშანგი ივანიშვილს, სერგო გოგოლაძეს და სხვებს.

არჩევნები მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა. წინ კი უდიდესი საქმეების კეთება მოგველის. ეს საქმეები და ამოცანები ნათლად არის აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიულ სიტყვაში. ამ სიტყვის ერთ-ერთ ადგილას კი ნათლად გამოსჭვივის აზრი, რომ თვითეული მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის მოვალეობაა არა მარტო შეგნებულად და ინიციატივიანად ეკიდებოდეს თავის შრომას, არამედ აგრეთვე, როგორც წესი, ცხოვრობდეს უფრო ფართო ინტერესით — თავისი საწარმოს, რაიონის, ოქრის, რესპუბლიკის, მთელი თავისი სამშობლოს ინტერესებით.

ვფიქრობ ამ მიმართულებითაც იტყვიან თავიანთ სათქმელს რუსთაველი მშრომელები.

გრ. ბერეკაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის ორდენოსანი.

ფეიქართა ფიქრები

გორი

ბიორგი ჭოხონელიძე[1] გორის ბამბეულის კომბინატის № 1 საქსოვი ფაბრიკის ქვეოსტატად მუშაობს. ახალგიდა ნუ გეგონებათ, ორ ათეულ წელზე მეტია ფეიქრის პროფესიას ეზიარა და მას ახლა მარტო კომბინატში კი არა, მუშათა დასახლებაშიც დიდი და პატარა იცნობს.

თავმდაბალ კომუნისტს დიდი ნდობა გამოუცხადეს, ქალაქ გორის № 19 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება მიანდეს. რა თქმა უნდა, ბიორგის საფიქრალი და საზრუნავი მოემატა. ხუთრობა საქმე როდია უხელმძღვანელო ისეთ დიდ საარჩევნო უბანს, სადაც თექვსმეტი საარჩევნო ოლქია გაერთიანებული, სადაც ორი ათას ორასზე მეტი ამომრჩეველი მოვა.

— ახალბედებს და ხანდაზმულებს გვერდში თუ არ ამოვუდგეთ, დრო იკარგება ,არჩევნების რიტმი ირღვევა, — გვითხრა გიორგიმ და ხელით მოვგანიშნა, აქეთ მობრძანდითო.

პატარა ოთახშიც საკმაოდ მკაფიოდ იხმის ქართული ხალხური სიმღერები. სადღაც მაგნიტოფონია ჩართული; საარჩევნო უბანი მთლიანად რადიოფიცირებულია.

გიორგის თვალი ღია კარებისაკენ აქვს და ჩვენს შეკითხვას მოუთმენლად ელოდება. ვგრძნობთ, მთელი სულითა და გულით ფართო ნათელი დარბაზისკენ არის, სადაც ამომრჩეველები ბიულეტენებს იღებენ. აღარ დავაყოვნეთ, გიორგის რამდენიმე შეკითხვა მივეცით.

— მარტო ამ ბოლო წლებში ფეიქრებმა თხუთმეტი ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა კვლავ გრძელდება.

ესეც არ იყოს, გორელი ფეიქრებისთვის აქვე, მუშათა დასახლებაში, ისეთი კულტურის სასახლე შენდება, ჩვენს რესპუბლიკაში მსგავსი არ მოიძებნება. საგრძნობლად გაუმჯობესდა ჯერეთვე ფეიქართა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები. შეკეთდა კომბინატის ფაბრიკების სახურავები, ბატაკები; რეკონსტრუქცია გაუკეთდა მუშათა სასადილოებს, ჯასახდელებს, სამხატვრებს, და ვინ მოთვლის, ამ ბოლო წლებში რამდენი სიკეთე ივიმეს გორელმა ფეიქრებმა. მარტო ის რად ღირს, რომ ფეიქართა დაბა ტროლეიბუსით და ავტობუსით ქალაქ გორის თითქმის ყველა უბანს უკავშირდება.

რა თქმა უნდა, გორელი ფეიქრის შრომის, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა მოსახურება მომავალში კიდევ უკეთესი იქნება. ეს ნათლად ჩანდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, რომელიც მან მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან წარმოთქვა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ გორელი ფეიქრების ძალას, ენერგიას, გამოცდილებას და ცოდნას ერთგვარი მობილიზაცია გაუკეთა. ყოველი ფეიქარი ახლა იღვწის და შრომობს, რომ პირნათლად დაამთაროს მეცხრე ხუთწლედის დავალები და ახალი შრომითი წარმატებით შეხვდეს სკკპ XXV ყრილობას.

გუშინ და გუშინწინ დღე და ღამე გაასწორეს ჩემმა მოადგილემ ვ. შერმადინმა, კომისიის წევრებმა ს. სვანიშვილმა დ. კაპანაძემ, ვ. ზაგინშვილმა, ნ. დარასელიძემ, ს. გუზუტრიშვილმა, საუბნო კომისიის მდივანმა ზ. კასრაძემ და სხვებმა. აქვე დავასახელებ იმ ტანსმორჩილ ახალგაზრდას, წელან ოთახში რომ შემოვიდა, იგი № 142 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეა და ამომრჩეველთა შორის კულტმასობრივი მუშაობა კარგად მოაწყო. ახლა გასართობ დარბაზში ამომრჩეველთა მასობრივი ღვეკები დაიწყო. შეკუერთდით ამომრჩეველთა ზეიმს და ყველაფერში თავად დარწმუნდებით.

— ალბათ • იშვიათი შემთხვევაა, — გვითხრა გიორგიმ, — ჩვენს საარჩევნო უბანში ერთი ოჯახიდან საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ორი კანდიდატი იყრის კენჭს. ქეთევან და ავთანდილ ჩუტკერაშვილები. ისინი ცოლქმარი არიან. ქეთევანი გორის საკონსერვო ქარხნის მუშაა, ავთანდილი კი № 28 საგზაო საექსპლოატაციო უბნის ცვლსფარეში.

გიორგისთან ერთად კვლავ ამომრჩეველთა დარბაზში გამოვედით. გორელ ფეიქრებს უკვე დაემთავრებინათ ხმის მიცემა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის, შრომისა და მშვიდობისათვის.

რ. გასილაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

საამშობლოს სადიდებლად

სურათებზე: ზემოთ—თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 5 საარჩევნო უბანში მშრომელები ხმას აძლევენ თავიანთ რჩეულთ.

ქვემოთ — ქუთაისი. ხმას აძლევენ ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშაკიც (მარცხნიდან მარჯვნივ): ქარხნის სათბურის აგრონომი იზოლდა დოხტურაშვილი, ამწყობი ზეინკალი პეტრე ნიკაბაძე, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი შუქრი გიგინეიშვილი.

გ. ბუბუნიას („კომუნისტი“) და გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სურათებზე: მარცხნიდან — **აფხაზეთის ასსრ.** გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველნი მივიდნენ ხუხუცესი ამომრჩეველი, — სოციალისტური შრომის გმირი თემურ თარბა, ცისანა ბოჟორიშვილი და ზაურ თარბა;

ბათუმი. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ვეტერანი, ოპერატორი ვლადიმერ გომბრონიძე მეუღლით და შვილიშვილებით ხმის მიცემის შემდეგ;

ცხინვალი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 1 საარჩევნო უბანი. საარჩევნო ბიულეტენს იღებს სტუდენტი მარინე კოკოევა.

ი. ჭოხონელიძის, ნ. ანასტასიევის და ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის შესახებ

საზოგადოებრივ მეცხოველეობას — ჩვენი საყოველთაო ზრუნვა!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა წლეულს, ივლისის მეორე ნახევარში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი, რომელზეც განხილულ იქნება საკითხი: „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით".

ცენტრალური კომიტეტი, მიმართავდა რა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მუშაკებს, მეცხოველეობის სპეციალისტებს, მეცნიერ მუშაკებს, სთხოვდა მთელი სერიოზულობით იმსჯელონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის, ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე.

გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან საკმაო დრო გავიდა. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებში მოდის წერილები, რომელთა ავტორები მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე მთელი სერიოზულობით მსჯელობენ. დღეს ვბეჭდავთ რამდენიმე წერილს, რომელთა ავტორები მეცხოველეებს ურჩევენ, თუ როგორ გამოასწორონ ნაკლოვანებები, როგორ ამრავლონ მეცხოველეობის პროდუქტები.

რედაქცია კვლავაც მოელის საფუძვლიან წერილებს თქვენგან, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო.

მცირე მექანიზაციის სიკეთე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მორიგი XVII პლენუმის მოწვევის შესახებ, რომელიც გაიმართება მომდინარე წლის ივლისის მეორე ნახევარში, განიხილავს უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

სოფლის მეურნეობის ეს დარგი სხვა დარგებთან შედარებით, საწყისად, ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩენა როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობითი მაჩვენებლებით. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მეცნიერებისა და სპეციალისტების მიმართ, რათა ფართო მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული პრობლემის დამუშავებასა და მის შემდგომ განვითარებაში, ნამდვილად ხელს შეუწყობს პლენუმს უფრო ზუსტად და მთელი სიღრმით განსაზღვროს ის ამოცანები, რაც აუცილებელია მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ერთ-ერთ აუცილებელ და მძლავრ საშუალებას მეცხოველეობის განვითარების საქმეში წარმოადგენს საკვების მოწვევის შესახებ, კერძოდ თივის დროული დამზადება, მაგრამ, მთავრობის დამზადების ყველა სამუშაო ძირითადად ხელით სრულდება, ვერ ასწრებენ დროულად გათიბვას, რის გამო დიდია დანაკარგი და დამზადებული თივის ხარისხიც დაბალია. ამავე დროს არის რეალური შესაძლებლობა, რომ თითქმის მთლიანად შევცვალოთ ხელით შრომა მთავრობის ზონებში მანქანებით. ამისათვის საჭიროა ძემოვიტანოთ და გავანაწილოთ საზოგადოებრივ მეურნეობებში ხელის მოტორიზებული სათიბელა — „კმჩ", რომლის გამოშვება დაიწყო ზაგორსკის მექანიკურმა ქარხანამ მოსკოვის ოლქისათვის.

ამ მანქანას ერთი მეტრი სამუშაო განი აქვს, მართავს ერთი მუშა და შეუძლია იმუშაოს მცირეკონტურიან და 20–25 გრადუსი დახრილობის ფერდობებზე. მანქანის წარმადობა დღეში 3–3,5 ჰექტარია. იგი იწონის სულ 62 კილოგრამს. ეს პატარა მანქანა დიდ მოწონებას დაიმსახურებს და ფართო გამოყენებას ჰპოვებს მაღალმთიან რაიონებში, რადგან მას შეუძლია შეცვალოს დღეში 10–12 მთიბავი.

საყურადღებოა აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსავლის აღების და მეცხოველეობის მანქანების კათედრის ასპირანტის თ. დუნდუას მიერ მცირე სიმძლავრის ტრაქტორ „რიონის" ბაზაზე მოწყობილი მცირეგაბარიტიანი მანქანების კომპლექსი: 1,2 მეტრი სიგანის სათიბელა, ფოცხი, თივის მუხრუჭებიანი საზიდარი პროცენტის რაოდენობით სასილოსე მასაზე დამატების დროს უნდა დავიცვათ შემდეგი წესები: შარდოვანა უნდა გაიხსნას საჭირო რაოდენობის წყალში, ამასთან სასურველია წყალი იყოს თბილი (40–50 გრადუსი), რათა დაჩქარდეს გახსნა, წყალხსნარის მომზადება უნდა მოხდეს უშუალოდ ხმარების წინ ერთი ან ნახევარი საათით ადრე, წყალხსნარის გაჩერება 3 საათზე მეტ ხანს არ შეიძლება, რადგან შარდოვანა იშლება და ამონიაკის სახით აზოტი დაიკარგება. უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რომ წყალხსნარი ცხოველმა არ დალიოს, დალევის შემთხვევაში ცხოველი მოიწამლება; შარდოვანას მომზადებული წყალხსნარის შეტანა სასილოსე მასაში უნდა მოხდეს ხსნარის გამშვები მოწყობილობით (მანქანა „დუკი", ვენახის შესაწამლი აგრეგატი, ავტომაქსი და სხვ). ან უკიდურეს შემთხვევაში სტენუციის თუნუქის სასხურებლით; წყალხსნარის შეტანა უნდა დავიწყოთ მას შემდეგ, რაც მწვანე მასის ფენა სასილოსე ნაგებობაში მიიღწევს 10–15 სანტიმეტრ სისქეს. შარდოვანათი სასილოსე მასის გამდიდრება უნდა მოხდეს ფენობრივად და წონის შესაბამისად (ყოველი მანქანით მოტანილი მასა იწონება) იყრება ნაგებობებში, გაიშლება და შესვენდება შესასაბამისი რაოდენობით წყალხსნარით), სათავსის სასილოსე მასით ავსებისას ზედა ფენას 30–40 სანტიმეტრ სისქეზე შარდოვანას წყალხსნარი არ უნდა დავმატოთ, რადგან ამ ფენას უფრო მეტი კონტაქტი აქვს ატმოსფეროსთან და მასა მუქ ფერს იღებს და დაბალი ხარისხის სილოსი მიიღება.

სასილოსე ნაგებობის ავსება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს (სულ ბევრი 2 დღეში). სასილოსე მასა მძიმე ტიპის შალგებიანი ტრაქტორით კარგად უნდა დატკეპნოს, მასის ჰაერისაგან იზოლირება უნდა მოხდეს პირველ რიგში პოლიეთილენის აფსკის საშუალებით, თუ ამისი საშუალება არ არის, დაჭრილი ნამჯაგარეული ტალახით უნდა გადავლესოთ და 10 სანტიმეტრ სისქეზე მიწა დავაყაროთ, რითაც სასილოსე მასა თითქმის ჰერმეტულად დაიხურება.

ივ. ხუციშვილი,

საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვებისა და საკვების ტექნოლოგიის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ერთ ლიტრ ყველზე

ერთ ლიტრ ყველზე ჩვენ რესპუბლიკაში დიდძალი სილოსი უნდა დამზადდეს. აქედან დიდი ნაწილი ალბათ სიმინდის მწვანე მასის სილოსი იქნება.

სიმინდი ყველაზე საუკეთესო სასილოსე კულტურაა, მაგრამ მისი მწვანე მასა ძალიან ღარიბია პროტეინით.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მეცნიერული აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგებმა დაამტკიცა, რომ პროტეინის დეფიციტის შესავსებად მცოხნელ ცხოველთა კვებაში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სინთეზური აზოტშემცველი ნივთიერებები, კერძოდ კი შარდოვანა (კარბამიდი).

ცდებით დადგენილია, რომ კარბამიდის შეტანა სიმინდის სასილოსე მწვანე მასაში შეიძლება როგორც ფსვნილის, ისე ხსნარის სახით.

5–6 კილოგრამი კარბამიდის შეტანა ერთ ტონა სიმინდის მწვანე მასაში ორჯერ და უფრო მეტად აღიდებს აზოტის შემცველობას სილოსში, მის პროტეინოვან ღირებულებას. წესების დაცვით კარბამიდით გამდიდრებული სილოსი არავითარ საშიშროებას არა ქმნის ცხოველის შესაძლო მოწამვლის თვალსაზრისით.

კარბამიდი, ანუ შარდოვანა წყალში კარგად ხსნადი ნივთიერებაა, წარმოება მას უშვებს როგორც გრანულირებული სახით, ისე ფხვნილად. სილოსში მისი შეტანა მწვანე მასის დასილოსებისას შეიძლება როგორც მობნევით, ისე გახსნილი სახით. ამასთან მწვანე მასაში თანაბარი განაწილების თვალსაზრისით უმჯობესია წყალხსნარის გამოყენება. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ როგორია სასილოსე მასის ტენიანობა და შარდოვანა იმის მიხედვით გავაზაოთ წყალში. თუ სასილოსე მასის ტენიანობა 70 პროცენტს აღემატება, მაშინ შარდოვანას შესატანი ნორმა უნდა გაიხსნას 1,5–2-ჯერ მეტი რაოდენობის წყალში, ხოლო თუ ტენიანობა 60–65 პროცენტის ფარგლებშია, მაშინ შარდოვანას გახსნა შესაძლებელია 3-ჯერ და უფრო მეტი რაოდენობის წყალში.

სინთეზური შარდოვანას 0,5–0,6 პროცენტის რაოდენობით სასილოსე მასაზე დამატების დროს უნდა დავიცვათ შემდეგი წესები: შარდოვანა უნდა გაიხსნას საჭირო რაოდენობის წყალში, ამასთან სასურველია წყალი იყოს თბილი (40–50 გრადუსი), რათა დაჩქარდეს გახსნა, წყალხსნარის მომზადება უნდა მოხდეს უშუალოდ ხმარების წინ ერთი ან ნახევარი საათით ადრე, წყალხსნარის გაჩერება 3 საათზე მეტ ხანს არ შეიძლება, რადგან შარდოვანა იშლება და ამონიაკის სახით აზოტი დაიკარგება. უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რომ წყალხსნარი ცხოველმა არ დალიოს, დალევის შემთხვევაში ცხოველი მოიწამლება; შარდოვანას მომზადებული წყალხსნარის შეტანა სასილოსე მასაში უნდა მოხდეს ხსნარის გამშვები მოწყობილობით (მანქანა „დუკი", ვენახის შესაწამლი აგრეგატი, ავტომაქსი და სხვ). ან უკიდურეს შემთხვევაში სტენუციის თუნუქის სასხურებლით; წყალხსნარის შეტანა უნდა დავიწყოთ მას შემდეგ, რაც მწვანე მასის ფენა სასილოსე ნაგებობაში მიიღწევს 10–15 სანტიმეტრ სისქეს. შარდოვანათი სასილოსე მასის გამდიდრება უნდა მოხდეს ფენობრივად და წონის შესაბამისად (ყოველი მანქანით მოტანილი მასა იწონება) იყრება ნაგებობებში, გაიშლება და შესვენდება შესაბამისი რაოდენობით წყალხსნარით), სათავსის სასილოსე მასით ავსებისას ზედა ფენას 30–40 სანტიმეტრ სისქეზე შარდოვანას წყალხსნარი არ უნდა დავმატოთ, რადგან ამ ფენას უფრო მეტი კონტაქტი აქვს ატმოსფეროსთან და მასა მუქ ფერს იღებს და დაბალი ხარისხის სილოსი მიიღება.

სასილოსე ნაგებობის ავსება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს (სულ ბევრი 2 დღეში). სასილოსე მასა მძიმე ტიპის შალგებიანი ტრაქტორით კარგად უნდა დატკეპნოს, მასის ჰაერისაგან იზოლირება უნდა მოხდეს პირველ რიგში პოლიეთილენის აფსკის საშუალებით, თუ ამისი საშუალება არ არის, დაჭრილი ნამჯაგარეული ტალახით უნდა გადავლესოთ და 10 სანტიმეტრ სისქეზე მიწა დავაყაროთ, რითაც სასილოსე მასა თითქმის ჰერმეტულად დაიხურება.

ივ. ხუციშვილი,

საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვებისა და საკვების ტექნოლოგიის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტრასა თუ სარგენი გილიკი?

გადასარეკ ტრასაზე ცხვარს დასასვენებელი ადგილი სჭირდება

მეცხვარეობის, როგორც ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგის აღმავლობისათვის, ამ ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები დაისახა. ცხადია, ეს ღონისძიებები კარგი და აუცილებლად უნდა განხორციელდეს, მაგრამ არის ზოგიერთი ისეთი ხელშემშლელი გარემოება, რაც დიდად აბრკოლებს ჩვენს მუშაობას.

საქმე ის არის, რომ ხაზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო იალაღებამდე ცხვარს დიდ მანძილზე უხდება მგზავრობა და ნაზამთრ და დასუსტებულ ცხვარს გზადაგზა დასვენება ესაჭიროება. საამისოდ ალაზანს ველზე ცხვრის გადასარეკი ტრასა დიდი ხანია არსებობს, ალაგ-ალაგ ფარების დასასვენებლად ადგილებიც იყო გამოყოფილი. მაგრამ განა შეგვინარჩუნეს?

ჯერ იყო და ტრასა შეგვიმწროვეს, შემდეგ კი ცხვრის დასასვენებელი ადგილებიც გადაგვიხნეს, წლევანდლამდე გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის ბოლოზე კიდევ გვქონდა დასასვენებელი ადგილი, მაგრამ ისიც გადახნეს და ახლა ცხვარს ვიწრო გზით, შეუსვენებლად უხდება მგზავრობა ესოდენ დიდ მანძილზე. ეს კი პირუტყვის დაჯანდაგება-დახოცვას იწვევს.

იქნებ მთიდან ცხვრის დაბრუნებამდე ეს საკითხი მოგვარდეს!

ერთი სეზონურობა საკითხს მოგვარებაც არ იქნებოდა ურიგო: ცხვრის გადასარეკი ტრასა გრძელია და, ცხადია, დიდხანს გვიხდება სვლა ამ გზაზე. კარგი იქნება თუ ვაჭრობის მუშაკები ერთი-ორი კი არა რამდენიმე მანქანით მოაწყობენ გზაში ვაჭრობას.

ე. თავბერიძე,

ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი.

მოკლედ ტელეტაიპის ლენტიდან

ვარშავა

„ან-2" თვითფრინავთა მორიგი პარტია აფრინდა პოლონეთის ქალაქ მელეცის სატრანსპორტო მოწყობილობის ქარხნის საცდელი აეროდრომიდან. ფრთოსანი მანქანის წარმოება, რომელსაც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში „ანტეკი" უწოდეს, რამდენიმე წლის წინათ დაიწყო საბჭოთა ტექნიკური დოკუმენტაციით. თავდაპირველად „ანტეკს" უშვებდნენ სატრანსპორტო ვარიანტით. შემდეგ გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო, სამგზავრო, სანიტარიული და სასწავლო მანქანები.

„ანტეკს" აწვდიან 11 ქვეყანას. საბჭოთა კავშირში უკვე დაფრინავს 5,5 ათასზე მეტი ასეთი თვითმფრინავი.

ისლამაბადი

პაკისტანის მთავრობამ მედიცინის მუშაკთა ცალკეულ კატეგორიებს, მათ შორის მედიცინის დებსა და მეანებს აუკრძალა სამუშაოდ სხვა ქვეყნებში გამგზავრება შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დაგეგმვის სამინისტროს სპეციალური ნებართვის გარეშე.

ეს ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ ყოველწლიურად ასობით კვალიფიციური სპეციალისტი მედიკოსი ტოვებს ქვეყანას და მიდის სხვა ქვეყნებში უფრო დიდი ხელფასისათვის.

ტოკიო

დედაქალაქის თეატრის „ტოკიო გეიძიუცუძის" სცენაზე დიდი წარმატებით ჩაიარა ა. პ. ჩეხოვის პიესა „ძია ვანოს" პრემიერამ. სპექტაკლის დამდგმელმა ძიუნ სეკიგუტიმ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა: ჩვენ მივმართავთ ამ პიესას, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე არაერთხელ დადგმულა ია პონიის სხვა თეატრების სცენაზე, რადგან დიდი რუსი მწერლის უკვდავი ნაწარმოებნი მეტად პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში.

ჰავანა

ჰავანის პროვინციაში იხსნება ახალი სასწავლებელი — შაქრის მრეწველობის სპეციალისტთა მოსამზადებელი ინსტიტუტი. ახალი უმაღლესი სასწავლებელი იმოქმედებს კუბის ეროვნული გმირის კამილო სიენფუეგოსის სახელობის ქარხანასთან, რომელიც შაქრის ლერწამს ამუშავებს.



მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ

მსოფლიოს პრესა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ

ასე წერენ

მთელი მსოფლიოს პრესა ფართოდ აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე.

კომენტარებში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვაში ფართოდ მიმოხილულია საბჭოთა კავშირის მიღწევები მეცხრე ხუთწლედის განვლილ წლებში, შეჯამებულია პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ისტორიულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის, მთელი საბჭოთა ხალხის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგები.

ჩეხოსლოვაკიის პრესა ამ სიტყვას უწოდებს „ისტორიულ გამოსვლას", რომელიც ეხება როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრების, ისე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. **„რუდე პრავომ"** გამოაქვეყნა სიტყვის სრული ტექსტი სათაურით „ცხოვრებამ დაადასტურა, რომ სწორია სკკპ XXIV ყრილობის ხაზი".

„ნოიეს დოიჩლანდმა" ტექსტს წაუძღვარა სიტყვები, რომ თავის დიდმნიშვნელოვან სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა შეაჯამა იმ დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის თამამბეჭდავი შედეგები, რომელიც პარტიამ და ხალხმა გასწიეს სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ ოთხწელიწადნახევარში. თავისი სიტყვის საგარეო პოლიტიკურ ნაწილში, აღნიშნავს გაზეთი, ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპული და თანამიმდევრული კურსი, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელების, უშიშროებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფა.

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ" წერს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობას. „ყველაფერი, რასაც პარტია აკეთებს საშინაო პოლიტიკაში, საბოლოო ანგარიშით, მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას", — ხაზს უსვამს გაზეთი.

ბულგარეთის გაზეთებმა სიტყვას წაუმძღვარეს ასეთი სათაურები: „მშვიდობისა და კომუნიზმისათვის". „გოლათური ნაბიჯებით კომუნიზმისაკენ".

უნგრეთის „ნეფსაბადშავმა", რომელმაც აგრეთვე გამოაქვეყნა სიტყვის სრული ტექსტი, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ „დაძაბულობის შენელების მიღწევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ერთობლივ საქმიანობას, მათს თანამიმდევრულ პროლას აგრესიის და ომის ძალების წინააღმდეგ".

სიტყვის ვრცელი შინაარსი გაავრცელა იუგოსლავიის ტანიუგის სააგენტომ.

ამერიკული „ვაშინგტონ სტარ-ნიუსი" წერს: „ლ. ი. ბრეჟნევმა ყურადღება მიაპყრო ახალ სახეობათა დამახგრეველი იარაღის შექმნის საფრთხეს და მოუწოდა წამყვან სახელმწიფოებს აკრძალონ მისი დამუშავება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინადადებაა აგრეთვე, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი შეუწყონ ამის თაობაზე საერთაშორისო შეთანხმების დადებას". გაზეთი ხაზს უსვამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კრიტიკულ შენიშვნას იმის გამო, რომ ნატოს ქვეყნები ცდილობენ თავიანთი სამხედრო პოზიციების გასაძლიერებლად გამოიყენონ მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ.

ლიბანის გაზეთი **„ბეირუთი"** თავის კომენტარში აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირი დიდი ხანია დაბეჯითებით იღწვის მასობრივი მოსპობის იარაღის გავრცელების შეზღუდვისათვის, მისი წარმოებისა და მარაგის შემცირებისათვის". გაზეთი მოუწოდებს „მსოფლიოს ხალხებს ყურად იღონ ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდება და არ დაუშვან შექმნა ახალი იარაღისა, რომელიც საშიში იქნება მთელი კაცობრიობისათვის. (საკდესი).

RUDÉ PRÁVO

„რუდე პრავო"

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ სწორია სკკპ XXIV ყრილობის ხაზი.

NEUES DEUTSCHLAND

„ნოიეს დოიჩლანდი"

საბჭოთა კავშირის მიზანია დაძაბულობის შენელების, უშიშროებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფა.

Trybuna Ludu

„ტრიბუნა ლუდუ"

მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს სკკპ და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ამერიკელ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

ჯ. ფორდის ინტერვიუ

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ინტერვიუ მისცა ფრანგული ეურნალის „ექსპრესის" კორესპონდენტს პ. სელინჯერს.

მე სრულიად არ ვეთანხმები იმით, თქვა ჯ. ფორდმა, ვინც აცხადებს, რომ დაძაბულობის შენელებას მეტი პლუსი აქვს საბჭოთა კავშირისათვის და მეტი მინუსი — ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. მომაჩნია, რომ საბჭოთა კავშირმაც და შეერთებულმა შტატებმაც მოიგეს მისით. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს დაძაბულობის შენელებას. საჭიროა ერთობლივი ღონისძიებანი, რათა შევასუსტოთ დაძაბულობა. ეფიქრობ, აღნიშნა პრეზიდენტმა, რომ არ არის სწორი იმის თქმა, თითქოს ერთი მხარე იღებდეს მეტს, ვიდრე მეორე. ჩემი აზრით, თანაფარდობა დაახლოებით ერთნაირია და, ეფიქრობ, რომ ასეც უნდა იყოს.

ჯ. ფორდმა აღნიშნა, რომ ერთგვარი ძვრა შეიმჩნევა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთმოლაპარაკებაში შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, თუმცა ჯერ კიდევ არ არის გადალახული ყველა ტექნიკური სიძნელე. რა თქმა უნდა, თქვა პრეზიდენტმა, თუ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის შესახებ შეთანხმდით, ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ატომური ომის წარმოშობის საფრთხის შემცირებაში.

ჯ. ფორდმა მხარი დაუჭირა იმას, რომ წელს მოეწყოს ევროპის უშიშროების საკითხებზე თათბირის დამამთავრებელი ეტაპი უმაღლეს დონეზე.

შეეხო რა მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საჭიროა გაგრძელდეს წინსვლა მოწესრიგებისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ატმოსფერო იქნება ისეთი, როგორიც იყო 1973 წელს, როცა მას მოჰყვა ოქტომბრის ომის დაწყება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ემბარგოს დაწესება ნავთობის მიწოდებაზე.

შეეხო რა ამერიკა-პორტუგალიის ურთიერთობას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია პორტუგალიის მიერ ისეთი საშინაო პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც მისაღებია ნებისმიერ შეერთებული შტატებისათვის.

შემდეგ ჯ. ფორდმა ილაპარაკა საშინაო პრობლემებზე. მან იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ეკონომიურ დაქვეითებაში ფსკერამდე ჩავიდა და ახლა ნელა მიიწევს ზევით". ამასთან პრეზიდენტმა დასძინა, რომ უმუშევრობის დონე ბოლო დროს 8,9 პროცენტიდან 9,2 პროცენტამდე გაიზარდა.

პარჩევნები უნგრეთში

ბუდაპეშტი. (საკდესი). დღეს დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების არჩევნები.

დილის 6 საათზე საარჩევნო უბნებში მივიდნენ პირველი ამომრჩევლები, რომ ხმა მიეცათ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის. მშრომელებმა თავიანთ პირველ კანდიდატებად დაასახელეს პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები ი. კადარი, პ. ლომონცი, დ. ლაბარი.

ე. პაპაიოანუს მალალი შეფასება მისცა აკელის დელეგაციისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლების შეხვედრას, რომელიც ამა წლის 23 მაისს გაიმართა მოსკოვში.

აკელის გენერალურმა მდივანმა გააკრიტიკა დასავლეთის გარკვეული წრეები, რომლებიც ცდილობენ კვიპროსის საკითხი გადაწყვიტონ ნატოს სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად.

ეროვნული ფრონტი

**ბულგარეთის სამშრომლო პარტიის ეროვნული ფრონტის ბიურომ ეროვნული ფრონტის ბიურო-ინფორმაციის ბიულეტენში გამოაქვეყნა ინფორმაცია ეროვნული ფრონტის ბიუროს ინფორმაციისა და ეროვნული ფრონტის ბიუროს ინფორმაციის ბიულეტენის ბეჭდვის, ბეჭდვისა და ტირაჟირების ორგანიზაციის

დიდი ზრუნვა

შეღავათები ინვალიდებსა და დაღუპულ მეომართა ოჯახებს

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის წინ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ“, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან მე-3 ჯგუფის მომუშავე ინვალიდებზე პენსიის გაცემის წესის შეცვლის შესახებ“.

აღნიშნული დადგენილება და ბრძანებულება ძალაში შევიდა 1975 წლის 1 მაისიდან.

რედაქციაში მოგვდის წერილები, რომლებშიც მკითხველები გვთხოვენ დაწერილებით ვესაუბროთ ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის ახალი შეღავათების შესახებ. მათ უპასუხებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საფინანსო სამსახურის უფროსი, საინტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორი ვ. ა. კიხვენკო.

კონსულტაცია

ვის და რა შემთხვევაში ეძლევა ახალი შეღავათები?

ეწინარეს ყოველისა მოგახსენებთ ბინისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის შეღავათების შესახებ.

უნდა ვიცოდეთ, რომ ბინისა და კომუნალური მომსახურების ქირის 50-პროცენტიანი შეღავათი ეძლევათ: 1 და 2 ჯგუფის ინვალიდებს და მათთან გათანაბრებულ ინვალიდებს იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის, სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას ან ჯარის კონტუზიისა და დასახიჩრების შედეგად ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად; პენსიონერებს იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც პენსიას იღებენ წელთა ნამსახურობის ან მოხუცებულობის გამო, თუ ისინი დადგენილი წესით აღიარებული არიან 1 ან 2 ჯგუფების ომის ინვალიდებად; ოჯახებს, რომლებიც იღებენ დაღუპული მარჩენალის — სამხედრო მოსამსახურის პენსიას, მათ შორის იმათაც, ვინც იღებს გარდაცვლილი ომის ინვალიდებისა და მათთან გათანაბრებულ პირთა პენსიას.

აღნიშნული შეღავათი მოქალაქეებს ეძლევათ დადგენილი ინვალიდობის ვადით ან მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის გაცემის პერიოდში.

ბინის შეღავათიანი ქირა გადახდებათ იმის მიუხედავად, თუ ვინ არის დამქირავებელი.

სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც დაინვალიდდნენ სამხედრო სამსახურის პერიოდში. დაავადების შედეგად, იმ შეღავათით არ სარგებლობენ. შეღავათით არ სარგებლობენ აგრეთვე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, რომლებიც არ იღებენ პენსიას ამ სამხედრო მოსამსახურეებისათვის.

კომუნალური მომსახურებით სარგებლობისათვის ქირის 50-პროცენტიანი შეღავათი ვრცელდება შემდეგი სახის მომსახურებაზე: გათბობა, წყალსადენი სარგებლობა, მათ შორის ცხელი წყლით მომარაგება, კანალიზაცია, გაზი და ელექტროენერგია.

შეღავათები ბინისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის დროს ვრცელდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამგეებლობაში შემავალ ყველა სახლზე.

კომუნალური საწარმოების მიერ მინაჭებული კომუნალური მომსახურების შეღავათები ვრცელდება ავრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებსა და იმ სახლებზე, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლების საფუძველზე.

ინვალიდებს შეღავათები ეძლევათ სამამულო ომის ინვალიდის მოწმობის წარდგენით. ოჯახებს, რომლებიც პენსიას იღებენ მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის დამმოწმებელი ორგანოს ცნობის საფუძველზე (ოფიცრებისათვის, პრაპორშიკებისათვის, მიჩმანებისათვის, ზეკაზიანი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის ცნობის, ვაჟიანი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის — სოციუზრუნველყოფის ორგანოს ცნობის საფუძველზე).

ყველა სახის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი (ტაქსის გარდა) და ყაზტომობილო ტრანსპორტით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში უფასო მგზავრობის უფლება ვრცელდება ომის ინვალიდებზე, ავრეთვე იმ პირებზე, ვინც დაინვალიდდა სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიისა თუ დასახიჩრების შედეგად, ინვალიდობის ჯგუფისა და მიღებული პენსიის სახეობის მიუხედავად (ინვალიდობის, მოხუცებულობის, წელთა ნამსახურობის გამო). სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც დაინვალიდდნენ სამხედრო სამსახურის პერიოდში დაავადების შედეგად, ამ უფლებით არ სარგებლობენ.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება ენიჭება ინვალიდს ყველა ქალაქში საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

1975 წლის 1 მაისიდან დადგენილია, რომ მშობლებს, რომლებსაც შვილები დაეღუპათ ფრონტზე, მარჩენლის დაკარგვის გამო პენსია ენიშნებათ იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა მშობლები დაღუპული სამხედრო მოსამსახურის კმაყოფაზე. ეს უფლება ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეთა შრომისუუნარო მშობლებზე, თუ მარჩენალი დაღუპა (უგზოუკვლოდ დაიკარგა) ან გარდაიცვალა ფრონტზე ანდა გარდაიცვალა უფრო გვიან ფრონტზე მიღებული ჭრილობის, კონტუზიისა თუ დასახიჩრების შედეგად.

ფრონტზე დაღუპული შვილებისათვის პენსია შეიძლება დაენიშნოთ იმ მშობლებსაც, რომლებიც პენსიას იღებენ სხვა საფუძველზე, მაგრამ „3 პენსიის“ გაცემის შეწყვეტის დღიდან. ამასთან მათ ეძლევათ ბინისა და კომუნალური მომსახურების ქირის შეღავათიანი გადახდის უფლება.

1975 წლის 1 მაისიდან მუშებად ან მოსამსახურეებად მომუშავე ომის ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, მე-3 ჯგუფის ინვალიდობის პენსია, რომელიც იანვარიშება 300 მანეთზე ნაკლები ფულადი სარჩოს სარგოებიდან, უნდა მიეცეთ სრული ოდენობით, თუ პენსია ხელფასთან ერთად თვეში არ აღემატება 300 მანეთს. თუ პენსიისა და ხელფასის თანხა თვეში 300 მანეთს აღემატება, შესაბამისად მცირდება პენსიის ოდენობა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს პენსია არ უნდა იყოს დანიშნული პენსიის 50 პროცენტზე ან მათთვის დაწესებული პენსიის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. კოლმეურნეობის წევრ ომის ინვალიდებს მე-3 ჯგუფის ინვალიდობის პენსია ეძლევათ სრული ოდენობით კოლმეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლის მიუხედავად. მე-3 ჯგუფის ინვალიდები, რომლებიც იღებენ მოხუცებულობის, წელთა ნამსახურობის პენსიას, ამ უფლებით არ სარგებლობენ. (საქინფორმი).

სხვა გაზეთებიდან

საიდუმლო ამოხსნილი

ულამ საუკუნეზე მეტია მუსიკის მოყვარულნი აღტაცებაში მოჰყავს საყოველთაოდ ცნობილი ოსტატის კრემონელ (იტალია) ანტონიო სტრადივარის ვიოლინის განუმეორებელ ჟღერადობას. თავისი ხელობის საიდუმლო სტრადივარმა თან წაიღო.

სხვადასხვა დროის მკვლევარები ცდილობდნენ ამოეხსნათ ეს საიდუმლო, მაგრამ მათი ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. და აი, ამერიკელმა ქიმიკოსმა ფრედერიკ ჰიუნემანმა განაცხადა, რომ მან მიაგნო აქამდის გაუხსნელი საიდუმლოს კვალს. ჰიუნემანი აცხადებს, რომ არავითარი ლაქი და საკრავის ფორმა აქ არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ სტრადივარი ხეში, რომელსაც იგი ვიოლინოს გასაკეთებლად იყენებდა, გულმოდგინედ ეძებდა ფისის უმცირეს წვეთებს და აცილებდა მათ.

„ეს, — ამტკიცებს ჰიუნემანი, — სტრადივარის ვიოლინოს აძლევდა განუმეორებელ ჟღერადობას“.

(„ვოკრუგ სვეტა“.).

გუშინ თბილისში

თბილისი. 1975 წლის 15 ივნისი. ლენინის რაიონის № 70 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა წინაშე კონცერტით გამოდის პლესანოვის სახელობის კულტურის სახლის ახალგაზრდული თვითმოქმედი ანსამბლი.

ხ. კილაძის ფოტო.

კარგი დასაწყისი და...

ტელეფონის ხაზზეა მინსკის პრეს-ცენტრი

მოფარიკაკეთა ტურნირის უკანასკნელი ორი დღის სპორტულმა დავამ მინსკში მოლოდინს გადააჭარბა ზოგს იმედი გაუცრუდა, ზოგიც წარმატებას ზეიმობს. რაც შეეხება საერთო გუნდურ პირველობას, აქ თავდაჯერებულ მეტოქეობა რსფსრ-ის, ბელორუსიის, მოსკოვისა და უკრაინის ნაკრებთა შორის შემდინარეობდა.

სტარტი საქართველოს ნაკრებისათვის ცუდი არ იყო. ის ქულები, რაც გუნდს ასპარეზობის უკანასკნელი დღისათვის ჰქონდა, სწორედ პირველ დღეებში იქნა მოპოვებული. ამის შემდეგ მდგომარეობა თითქმის გაიყინა. სტურნირო ცხრილში იმავე ქულებით დავრჩით. მართალია, პირად შეჯიბრებაში საერთოდ დიდ წარმატებას არც ველოდით, მაგრამ არც რაპირისტ ვაჟთა გუნდის მე-11 ადგილს მოველოდით.

ამ სახეობაში გუნდური პირველი 8 ადგილი თანმიმდევრულად ასე განაწილდა: რსფსრ (60 ქულა), უკრაინა (48), ბელორუსია (36), მოსკოვი (28), სომხეთი (24), აზერბაიჯანი (20), ოზბეკეთი (16), ყირგიზეთი (12).

გუშინ „ლომენსტის“ კორესპონდენტი მინსკში ტელეფონით დაუკავშირდა მოფარიკაკეთა ტურნირის პრეს-ცენტრს. აი რა ვეაცნობეს:

— რაპირისტთა შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ დაშნით მოფარიკავენი. ჯერ მოეწყო პირადი შეჯიბრება, დღეს კი დაიწყო გუნდური ასპარეზობა. საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა სიმძაფრეზე მეტყველებს ისიც, რომ ჩემპიონს გამოსავლინებლად საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრის მოწყობა ბელორუსიის გუნდის წარმომადგენელ ვ. რასოლკოსა და ესტონელ ვ. ზაიაცკოს შორის.

თვითეული მათგანს ფინალურ ტურნირში აღმოაჩნდა 4 მოგება და 1 დამარცხება. გადამწყვეტი ორთაბრძოლის დასაწყისში მინსკელი მუშაკეტი ოსტატურად უტევდა მეტოქეს და ოთხი ჩხვლეტა მიაყენა მას ზედიზედ. თითქოს ყველაფერი დამთავრებული. გვეგონა, საჭირო იყო ერთი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ესტონელმა სპორტსმენმა შეძლო ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და 3 ჩხვლეტით უპასუხა მეტოქეს. თუ როგორი იქნებოდა ფინეში, გაურკვეველი იყო, და მაინც მინსკელმა მოფარიკავემ მოახერხა ინიციატივის ხელში ჩაგდება და გაიმარჯვა 5:3.

ამრიგად, ვ. რასოლკო, რომელიც კარგად არის ცნობილი მოფარიკაკეთა წრეში, პირველად გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი. მას საზეიმოდ გადასცეს ოქროს მედალი. ვერცხლის პრიზიორი გახდა ვ. ზაიაცკი, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ყაზანის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა ფ. ფაზრუტდინოვმა. ფინალის სხვა მონაწილეებმა ადგილები ასე გაინაწილეს: 4. ო. სეგედი (ბაქო), 5. მ. გორლოვი (მოსკოვი), 6. ა. პოლოსიანი (სომხეთი).

ტურნირის 7 სახეობა — ხმლით მოფარიკაკეთა პირადი და გუნდური შეჯიბრება, რაპირისტ ქალთა და ვაჟთა პირადი და გუნდური ასპარეზობა, დაშნით მოფარიკაკეთა პირადი შეხვედრა უკან დარჩა. აი ვინ რამდენი ქულა მოაგროვა:

1.	რსფსრ	267 ქულა
2.	ბელორუსია	254 „
3.	მოსკოვი	202 „
4.	უკრაინა	144 „
5.	საქართველო	58 „
6.	უზბეკეთი	58 „
7.	სომხეთი	54 „
8.	აზერბაიჯანი	50 „
9.	ლენინგრადი	48 „
10.	ყაზახეთი	48 „
11.	ესტონეთი	24 „
12.	ყირგიზეთი	18 „
13.	ლიტვა	8 „

როგორც წესი, სპარტაკიადებზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების პირალელურად მიმდინარეობს ჩათვლები სასპორტო საზოგადოებებისა და ქალაქების მიხედვით. სასპორტო საზოგადოებათა შორის ლიდერია სკა — 354 ქულა. მომდევნო ადგილები უკრავთ „ბურევესტნიკს“, „დინამოს“, „სპარტაკს“, „ავანგარდს“, „ზენიტს“, „ტრუდს“, „აშხატანს“, „ქალგირისს“, „ალგას“, „მეხნატს“, „კაირატს“.

ქალაქებს შორის ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს მინსკს — 246 ქულა. მეორე ადგილზეა კიევი — 75 ქულა.

ესტაფეტა რიგას გადაეცა

გუშინ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ კიდევ ერთ ასპარეზობას ჰქონდა ფინიში. მოფარიკაკეებმა ესტაფეტა რიგას გადასცეს.

რიგის სტუმრები არიან კალათბურთელი ქალები. მეტოქეები ქვეჯგუფების მიხედვით ადრე იყვნენ განაწილებული. წილისყრით საქართველოს გუნდი მე-5 ნომრად, პირველ ქვეჯგუფში იმყოფება, სადაც არიან აგრეთვე მოლდავეთის, ესტონეთის, ყირგიზეთისა და ლატვიის კალათბურთელთა კოლექტივები. თუ პირველ ქვეჯგუფში 5 გუნდი გამოდის, მეორე და მესამე ქვეჯგუფებში ფინალში გასვლისათვის იბრძვის ექვსი-ექვსი კოლექტივი.

აი ისინი:

მეორე ქვეჯგუფი — ლიტვა, მოსკოვი, ტაჯიკეთი, სომხეთი, ყაზახეთი, რსფსრ.

მესამე ქვეჯგუფი — აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ლენინგრადი, უკრაინა, თურქმენეთი, ბელორუსია.

მთავარია პირველ ფინალურ ჯგუფში გასვლა, სადაც განაწილდება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ამასთანავე აქ გუნდებს ყველაზე მეტ ქულა ერიცხებათ. მაგალითად, ჩემპიონს ეწერება 90 ქულა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელებს 72 და 54 ქულა და ა. შ.

რა თქმა უნდა, ძნელი ბრძოლები მოელით ჩვენს კალათბურთელებს ქვეჯგუფში. მათ წინა სპარტაკიადაზე მეექვსე ადგილი მოიპოვეს და თუ ისინი წელსაც პირველ ექვსეულში მოხვდნენ, ეს წარმატება იქნება.

ფეხბურთი

გამარჯვება როსტოვში

გუშინ თბილისის „დინამომ“ გათამაშების მორიგი მატჩი გამართა როსტოვში ადგილობრივ სკა-სთან.

თამაშის დასაწყისი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც მე-19 წუთზე გახსნეს ანგარიში (ნაზარენკო). და აი მხოლოდ ამის შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს დინამოელებმა — ჯერ ქორიძემ 30-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, გავიდა შვიდი წუთი და ებრალიძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. 2:1 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ — ეს ანგარიში აღინიშნა საბოლოოდ მოსკოველმა არბიტრმა ვ. ლიპატოვმა.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიხანიშვილი, გავაშელი (შეცდომაშვილი), ქორიძე, კობალეიშვილი, მაჩაიძე, ყიფიანი, წერეთელი.

ხუთი მატჩი

გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის კიდევ 5 შეხვედრა. მოგვყავს მათი შედეგები:

„დინამო“ კ. — „დინამო“ მ — 1:0
„არარატი“ — „პახტაკორი“ — 2:0
„შახტიორი“ — „ზარია“ — 2:2
„დნეპრი“ — „სპარტაკი“ — 1:0
„ჩერნომორეცი“ — „კარპატი“ — 2:2

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 16 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	10	7	2	1	19-7	16
„დნეპრი“	11	5	4	2	19-13	14
„არარატი“	11	6	1	4	15-11	13
„შახტიორი“	11	5	2	4	22-14	12
„დინამო“ მ.	11	4	4	3	11-9	12
„ლოკომოტ.“	11	3	6	2	11-9	12
„დინამო“ თბ.	11	5	2	4	11-10	12
„ზარია“	11	4	3	4	15-14	11
ცსკა	11	4	3	4	10-11	11
„სპარტაკი“	11	3	5	3	6-7	11
„კარპატი“	11	3	4	4	15-15	10
„ჩერნომორ.“	11	3	4	4	11-16	10
„ტორპედო“	10	3	3	4	13-13	9
„პახტაკორი“	11	3	3	5	13-18	9
„ზენიტი“	11	3	2	6	8-19	8
სკა	11	1	2	8	8-21	4

ჭადრაკი

მეათე ტურში

ლიუბლიანის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეათე ტურში პარტიათა უმრავლესობა გადაიდო. მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი გაგრძელებს შეჯვედრას იუგოსლავიის ჩემპიონ ვლიმირ ივანოვიჩთან, ფურმანი — რიბლისთან (უნგრეთი), პორტი (ჩეხოსლოვაკია) — მუსილთან (იუგოსლავია) და გარსია (კუბა) — პორტიშთან (უნგრეთი).

ამავე ტურში ყაიმით დაამთავრეს თავიანთი პარტიები იუგოსლავიელმა მოჭადრაკეებმა: ოსტერმანმა — კარნართან, პარმამ — გლიგორიჩთან და ლიუბოევიჩმა — პლანინცთან.

გიორგაძე — კვლავ ლიდერი

დეჩინში (ჩეხოსლოვაკია) გათამაშდა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის 10 ტური.

უკანასკნელ შეხვედრებს ჩინებულად წარმართავს ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი თამაზ გიორგაძე. მეცხრე ტურში მან მოუგო ოსტატ რადევს (ბულგარეთი), რომელსაც თბილისელები კარგად იცნობენ. მეათეში დაამარცხა ოსტატი ლეხტინსკი (ჩეხოსლოვაკია). ამრიგად, გიორგაძემ უკანასკნელ 5 ტურში ხუთივე შეხვედრა მოიგო.

ახლა თბილისელი მოჭადრაკე 10 პარტიიდან 8 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. დასკვნითს 5 ტურში გიორგაძეს დიდოსტატის ბალის მოსაგროვებლად კიდევ სჭირდება 2,5 ქულა.

მოკლედ

რეგბი. გუშინ თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის მატჩი თბილისს „ავიერასა“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტს გუნდს შორის. ანგარიშით 7:6 (3:3) გაიმარჯვა „ავიერამ“.

ჭადრაკი. დონის როსტოვში დამთავრდა პიონერთა რაზმიელების მოჭადრაკეთა მეშვიდე ტრადიციული საკავშირო ასპარეზობა „თეთრი ეტლის“ პრიზზე. შარშან ეს საპატიო ჯილდო მოიპოვეს ნორჩმა თბილისელმა მოჭადრაკეებმა — პირველი რესპუბლიკური ექსპერიმენტალური საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მათ ღირსეულად დაიცვეს ჩემპიონის ტიტული და „თეთრი ეტლის“ თასი ოთხჯერ თბილისში მოდის. გუნდში შედიოდნენ პირველლითანრიგოსნები ა. თოფურია, ი. ელმენი, გ. ხომერიკი, ბ. გოროზია და თამარ ებანოიძე (მწერთნელები ოსტატი ი. ჩიჭოანი და ოსტატობის კანდიდატი ო. თურქესტანიშვილი).

ბილეთის აღებისა „ლომენსტენ“

მოსკოვის ოთხი უდიდესი რკინიგზის ვაგზალი — ყაზანის, კურსკის, კიევისა და რიგის ვაგზლები შეერთდა საბილეთო-საკასო ოპერაციების ავტომატიზაციის ელექტრონულ სისტემაში „ექსპრესს“.

რას აძლევს იგი მგზავრს?

აი კურსკის ვაგზლის უზარმაზარი საბილეთო დარბაზი; უახლოეს სალაროსთან ათი კაცი დგას. რიგია ეს,, თუ არა? ალბათ იტყვით, დიახაც რომ რიგიაო. ოპტიმალური ვარიანტით ყოველი მგზავრი მოლარის სარკმელთან სულ ცოტა სამ წუთს დგას. მაშასადამე, მეათე მგზავრი რიგში სულ ცოტა ნახევარ საათს უნდა იდგეს. მაგრამ ეს „ექსპრესამდე“ იყო. ახლა? გასმის დანიშნულების სადგურების სახელები: ადლერი... დონის როსტოვი... სოჭი... ლესულიძე... რამდენნაირ წაშში ყოველი შეკითხვის შემდეგ ირთვება მბეჭდავი მოწყობილობა და მომხმარებელს ეძლევა ბილეთი — არა მუყაოს ვიწრო ზოლი ან დაკბილული ვარდისფერი ქაღალდი, არამედ ბომბვანო მკვრივი ქაღალდის სწორკუთხედი. მასზე არავითარი ნიშანი არ არის ხელით დაწერილი, არც კომპოსტერის ჩვეულებრივი ნახვრეტებია — მხოლოდ ელექტრომაჭანით დაბეჭდილი საჭირო ინფორმაციის ციფრებია: მატარებლის, ვაგონის, ადგილის ნომერი, გაგზავნის რიცხვი და დრო, ბილეთის ღირებულება. ეს საინტერესოა, მაგრამ მგზავრისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, რომ თვითეული დოკუმენტის გაფორმებას სულ 40-50 წამი სჭირდება. თუნდაც წუთი იყოს. ნაგრამ მაშინაც რიგი სამჯერ უფრო სწრაფად მიდის.

წინათ გაწაფული მუშაკებიც კი რვასაათიან ცვლაში მხოლოდ 150 კაცს თუ მოემსახურებოდნენ. ესეც ძალ-ღონის დიდი დაძაბვას მოითხოვდა. მოლარე ერთთავად დაძაბული იყო: სწორად უნდა გაეგო მგზავრის თხოვნა, სწორად მოესმინა დისპეტჩერისათვის, სწორად გამოეწერა ბილეთი და, ბოლოს, სწორად მიეღო ფული. ოდნავ უყურადღებობასაც კი შეიძლებოდა შეცდომა და მრავალი უსიამოვნება მოჰყოლოდა. „ექსპრესმა“ ძირფესვიანად შეცვალა მოლარის შრომის ორგანიზაცია. ახლა მას აღარ უდგას კომპოსტერი და დისპეტჩერთან კავშირის სელექტორი, აქვს მხოლოდ განათებული ტაბლო ციფრებისა და პირობითი ნიშნების რიგებით. ელექტრონული კალმით, რომელიც ძალიან ჰგავს ბუნთულიან კალმისტარს, მოლარე ეხება ტაბლოს კონტაქტებს — შეკითხვას აძლევს მანქანას. მას შეცდომისა არ ეშინია. ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა შეცდომას მაშინვე მიუთითებს. თუ კი შეკითხვა სწორი იყო, იგი მოახსენებს სამგზავრო დოკუმენტის გაცემის მზადყოფნის შესახებ და აცნობებს მის ღირებულებას. მოლარეს ისღა რჩება, რომ საბეჭდ მოწყობილობაში ჩადოს ბილეთის ბლანკი და კალმით საჭირო კონტაქტს შეეხოს. 15 წამი — შეკითხვას, 5 წამი — ბილეთის გაფორმებას სჭირდება.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. გვისაუბრება ცენტრალური რკინიგზის მგზავრთა მომსახურების ბიუროს უფროსის მოადგილე ბ. ბ. საველიევი:

ადამიანები ბილეთებს მარტო გამგზავრების დღეს როდი იღებენ... შვებულებაში წასულნი — ზაფხულში კი ისინი ასეულ ათასობით არიან — ამისათვის წინასწარვე ზრუნავენ — ამიტომ უცვლ ზღვა ხალხი მოაწყდება ხოლმე წინასწარი გაყიდვის სალაროებს. აქაც „ექსპრესი“ აჩქარებს რიგის წინსვლას, და არა მარტო თვითეული შეკვეთის უფრო სწრაფი გაფორმების გამო. ადამიანთა ნაკადებიც ემორჩილებიან რაღაც კანონზომიერებას — ზოგ საათსა და კვირის დღეებში ხალხი მატკივ ზოგში — ნაკლები. „ხელის“ მომსახურების დროს ასეთი „პიკის“ განსაზღვრა უაღრესად რთული საქმეა. ახლა ეს სრულიადაც აღარ არის ძნელი. და შესაძლებლობა გვაქვს საჭირო მომენტში გავხსნათ მეტი სალაროები. „ექსპრესმა“ მინიმუმამდე შეამცირა გამოუყენებელი ადგილების რიცხვიც. წინათ ისინი ეყო, და ცოდვა ბატიხილი სჯობს, ხშირად იმის გამო, რომ ვერ ეასწრებდით მათ რეალიზაციას. ფინანსურ მხარეს არ იტყვით? ეთქვათ, თქვენ ბილეთი აიღეთ მოსკოვიდან ადლერამდე. ეგი ღირს 20 მანეთი, მაგრამ ამ თანხის რა ნაწილი უნდა გადარიცხოს თვითეულმა რკინიგზამ, რომლთა ტერიტორიაზეც თქვენი მატარებელი გაიარეს? ეს მარტივი ამოცანა როდია. ამას ყოველდღიურად ანგარიშობდა ათობით ბოანგარიშე. ახლა სისტემის ელექტრონული ხაანგარიშო მანქანები ეს წყვეტენ ძირითადი „მოგალობებისაგან“ თავისუფალ დროში — ღამით, ან მაშინ როდა სალაროებს ცოტა შეკვეთა მისდით.

სისტემის უპირატესობა უდავოა. ეს წელსვე შეუერთდებიან მოსკოვის ყველა დანარჩენი ვაგზლის სალაროები. გამოთვლილი ცენტრში დამთავრდა მესამე ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანის დამონტაჟება და ახლა ინერგება პირდაპირი პლაციკარტის უზრუნველყოფის ამოცანა. მაგალითად, ამავე კურსკის ვაგზლიდან შეიძლება მოხვდეთ ამ მიმართულების 11 ათასი რკინიგზის სადგურიდან ყოველ სადგურში, მაგრამ ამ დროს ამორიცხული არ არის გადაჯდომა. (საკვლევი).

საინტერესო სიახლე

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი

ტელევიზია

16 ივნისი

პირველი პროგრამით

18.05 — მოსწავლეთათვის კონცერტი, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მეტი ყურადღება მეფრინველეობას. 19.15 — „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 20.20 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ლიტერატურული გადაცემა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — 1. ევროპის პირველობა კალათბურთში (ვაჟები), ფინალი (გადმოცემა იუგოსლავიიდან). 2. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეექვსე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — პირველად ჩვენს ეკრანზე. ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „გასაიდუმლოებული ქალაქი“, 19.10 — განცხადებები, 19.15 — დოკუმენტური ფილმი „დედინაკაის კლასი“, 20.00 — მხატვრული ფილმი „მოდი ჩვენთან, მოდი!“, 21.15 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ელენე ყიფშიძე.

17 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 09.45—რ. მჩედლინი. ნაწყვეტები ბალეტიდან „კუზიანი კვიცი“. 11.05 — ა. ალიაბიევი. პირველი სიმფონიანი კვარტეტი, 11.45 — ხუთარი — „რატომ ჭიანურდება მშენებლობა“. 12.15 — მღერის ქალთა ვოკალური ტრიო, 12.25— „პოეზია უპირველეს ყოვლისა“— ა. პუშკინის ლექსები, 12.30 — ე. გრიგი. პიესები საორკესტრო სუიტა „პერ-გიუნტიდან“, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14. 00 — სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. 17.15 — მღერის ი. შუშანია, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით. მეგობრებო!“. 18.05 — მღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა. 18.45 — ე. ცფასმანი. კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიურ ორკესტრისათვის. 19.00 — საუბარი „სკკპ სოციალურ-ეკონომიური პროგრამა მოქმედებაში“, 19.20 — ი. ტუსკია. ნაწყვეტები ოპერიდან „სამმოლოო“. 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — „ძილისპირული“ 21.10 — „ჩვენი ახალი ჩანაწერები“. 21.30 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „დემონი“, 23.30 — მექსიკური სიმღერები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ეს ვიცოდეთ, ეს ვიცოდეთ

კომუნისტი ტფილისი-96. თბილისი-96. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებმა—99-93-03. 99-03-09 პ/მ მდივნის — 99-72-80. სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებმა: პარტიული—99-87-61. პრობლემა — 93-22-93. მოიწვეულობის — 93-20-84. სოფლის მეურნეობის — 99-52-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების. უმაღლესი სასწავლებლებისა და ბაკლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01. ინფორმაციის — 93-16-90. უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03787 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14